



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

"ატმოსფეროსა და ახლო კოსმოსის მეცნიერებების ინგლისურენოვანი სამაგისტრო
საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი(ებ)ი
29/11/2022

დასკვნის წარდგენის თარიღი
31/01/2023

თბილისი

შინაარსი

| | |
|---|----|
| I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | 4 |
| II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა..... | 5 |
| III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან..... | 8 |
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა..... | 8 |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | 16 |
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა..... | 22 |
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | 26 |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები..... | 34 |

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

| | |
|---|--------------------------------------|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 204861970 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|--|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ზაზა ოსმანოვი, შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ზურაბ ბერია, ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ია ნაცვლიშვილი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ლამა ლალიაშვილი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად) | ატმოსფეროსა და ახლო კოსმოსის მეცნიერებები |
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად) | Atmospheric and Near Space Sciences |
| უმაღლესი განათლების საფეხური | მაგისტრატურა |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია ² | მეცნიერების მაგისტრი ატმოსფერულ მეცნიერებებში |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | 0532 დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება ³ | |
| სწავლების ენა | ინგლისური |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 120 კრედიტი |
| პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | ახალი |
| პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები) | |

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

³ მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ⁴

საკრედიტაციოდ წარმოდგენილი სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტზე შეიქმნა ახალი, ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა: “ატმოსფეროსა და ახლო კოსმოსის მეცნიერებები”, კვალიფიკაცია - მეცნიერების მაგისტრი ატმოსფერულ მეცნიერებებში. პროგრამის ფარგლებში, სტუდენტთა სურვილის შემთხვევაში შესაძლებელი იქნება თანამშრომლობა ორ უნივერსიტეტთან: კლერმონ ოვერნის უნივერსიტეტი (კლერმონ-ფერანი, საფრანგეთი) და იოჰან გუტენბერგის მაინცის უნივერსიტეტი, (მაინცი, გერმანია). შედეგად, გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის შემთხვევაში სტუდენტს თავისთავად მიენიჭება ეროვნულ დონეზე არსებული სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისად მისანიჭებელი კვალიფიკაცია (მეცნიერების მაგისტრი ატმოსფერულ მეცნიერებებში) და ასევე მიენიჭება “დედამიწისა და პლანეტების, გარემოს მეცნიერებების მაგისტრი“ (კლერმონ ოვერნის უნივერსიტეტი); „მეცნიერებათა მაგისტრი მეტეოროლოგიაში“ (იოჰან გუტენბერგის მაინცის უნივერსიტეტი). უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნულ პროგრამას ქრთულ სივრცეში არ გააჩნია ანალოგი, რაც თავისთავად ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტია.

პროგრამა 4 სემესტრიანი და 120 კრედიტიანია, რომელთაგან სავალდებულო კურსები 72 კრედიტიანია, არჩევითი - 18 კრედიტიანი, ხოლო სამაგისტრო ნაშრომზე მოდის 30 კრედიტი.

პროგრამაზე მიღება რეგულირდება საერთო სამაგისტრო გამოცდების და უნივერსიტეტის ფარგლებში განხორციელებული ზეპირი გამოცდის საფუძველზე. ინგლისური ენის ცოდნა უნდა შეესაბამებოდეს B2 დონეს.

პროგრამაში გაწერილი შეფასების წესი, პროგრამის მიზნები, მეთოდები შესაბამისია, ხოლო სწავლის შედეგების მიღწევა 4 სემესტრში სრულიად შესაძლებელი. პროგრამაში გაწერილია მომავალში უკვე მაგისტრის ხარისხის მქონეთა დასაქმების რეალისტური ხედვა, მათ შორის ისეთი, რომელიც პირდაპირ მორგებულია საქართველოს დღევანდელ მდგომარეობას.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ვიზიტის განმავლობაში აკრედიტაციის საბჭოს წევრებს შეხვედრა გვქონდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან; თვითშეფასების ჯგუფთან; პროგრამის ხელმძღვანელებთან; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლებთან; აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; დამსაქმებლებთან; მომიჯნავე პროგრამის როგორც აქტიურ სტუდენტებთან, ისე კურსდამთავრებულებთან. აგრეთვე მოვინახულეთ მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ბიბლიოთეკა.

• საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

სტანდარტი 1. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- 1.1 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- 1.2 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- 1.3 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- 1.4 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

⁴ პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

1.5 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 2. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- 2.1 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- 2.2 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- 2.3 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- 2.4 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 3. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- 3.1 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- 3.2 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 4. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- 4.1 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- 4.2 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- 4.3 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- 4.4 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- 4.5 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 5. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- 5.1 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- 5.2 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- 5.3 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

რეკომენდაციები

არ გაცემულა

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, ფაკულტეტმა ყოველი სემესტრის დასაწყისში შეადგინოს პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობის განრიგი დეპარტამენტების მიხედვით და განათავსოს საკუთარ ვებ-გვერდზე.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)⁵

⁵ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

- ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

არგუმენტირებულზე პასუხი

ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასკვნის პროექტში განსაზღვრული იყო ორი რეკომენდაცია:

- რეკომენდირებულია რიგ სასწავლო კურსებში გაიწეროს წინაპირობები
- დაწესებულებამ შეიმუშავოს თანახელმძღვანელის დანიშვნის, შეცვლის, უფლება-მოვალეობებისა და ხელმძღვანელობის /თანახელმძღვანელობის პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტები, ასევე სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელისა და მაგისტრანტთა თანაფარდობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომელიც უზრუნველყოფს ხელმძღვანელობის ეფექტურად განხორციელებას.

ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პასუხს, დაწესებულებამ პირველი რეკომენდაცია ნაწილობრივ გაიზიარა და ასახა შესაბამისი ცვლილებები, ხოლო რა ნაწილშიც არ დაეთანხმა, ექსპერტები ამ მოსაზრებას იზიარებენ. ექსპერტები ასევე იზიარებენ მეორე რეკომენდაციასთან მიმართებით წარმოდგენილ პოზიციას. შესაბამისად ორივე რეკომენდაცია ექსპერტთა ჯგუფმა ამოიღო.

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამის: “ატმოსფეროსა და ახლო კოსმოსის მეცნიერებები” მიზანს წარმოადგენს სტუდენტს მისცეს თანამედროვე სტანდარტებზე დაფუძნებული ცოდნა ატმოსფეროს და ახლო კოსმოსის შესახებ. საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს, მიზნებს, და სტრატეგიას. გათვალისწინებულია როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო შრომის ბაზარზე სწორი ორიენტირი. ეს კომპონენტი შესაბამისობაშია დადგენილ სტანდარტთან. კერძოდ, ცხადაა ჩამოყალიბებული ის უნარები და მიზნები, რაც უნდა გააჩნდეს ახალი თაობის მკვლევარს, რომელიც უნდა ერკვეოდეს ატმოსფეროსა და ახლო კოსმოსის მეცნიერებების დარგში - დაწყებული ძირითადი ფიზიკური და ქიმიური პროცესებით, დამთავრებული ყველა იმ სპეციფიკით, რაც უმნიშვნელოვანესია მაგისტრის ხარისხის მიღებისთვის. ასეთებია პრაქტიკული სამუშაოები, რომელთაგან ნაწილი ობსერვატორიაში ჩატარდება და ნაწილი ექსპერიმენტულ დანადგარ ლიდარზე, რომელიც არის თბილისში ილიას უნივერსიტეტის ტერიტორიაზე. ეს აქტივობა იმდენადაა მნიშვნელოვანი, რამდენადაც აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებული უნდა ერკვეოდეს როგორც თეორიულ ისე ექსპერიმენტულ საკითხებში და შეემლოს კონკრეტული გაზომვების ჩატარება და ანალიზის განხორციელება. ამიტომ ყველა უნარის და მიზნის მიღწევა სავსებით რეალისტურია და სრულებით მიღწევადი სწავლის პერიოდში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სსიპ - ილია სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია <https://iliauni.edu.ge/ge/iliauni/misia-2>
- საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის სტრატეგიული გეგმა
- საგანმანათლებლო პროგრამა

- თვითშეფასების ანგარიში
- სამუშაო ჯგუფის ოქმები
- სტუდენტთა და კურსდამთავრებულების კვლევის ანგარიში
- უცხოელი პროფესორების მიერ გაკეთებული პროგრამის გარე შეფასება
- მხარდაჭერის წერილები
- მემორანდუმი
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|-----------------------|-------------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| 1.1 პროგრამის მიზნები | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ნათელია, რომ პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამით გათვალისწინებულ მიზნებს, კვალიფიკაციას, დასაქმების როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ბაზარზე არსებულ მოთხოვნებს და შედეგად სრულიად შეესაბამება შრომის ბაზრის მოთხოვნებს. თანდართული დოკუმენტაციიდან ნათელია, რომ პროგრამის

დასრულების შემდეგ სტუდენტს ექნება სიღრმისეული და კომპლექსური ცოდნა როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ საკითხებში მზის სისტემის პლანეტების ატმოსფეროს სტრუქტურის და მასში მიმდინარე პროცესების შესახებ. ფლობს იმ ცოდნას რაც აუცილებელია თანამედროვე თანამგზავრული და გლობალური საერთაშორისო ქსელებით დედამიწის ატმოსფეროსთან დაკავშირებული კვლევებისთვის. წარმოდგენილი როგორც სავალდებულო, ისე არჩევითი კურსების შინაარსიდან ცხადია, რომ სწავლის შედეგების მიღწევა სრულიად რეალისტურია სწავლისთვის გამოყოფილ დროში. სწავლის შედეგები სავსებით გაზომვადია ინდიკატორების მეშვეობით. პროგრამა შეფასებულია პარტნიორი უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა, სადაც დრ. ჰეიკო ბოზემი და დრ. ანდრეა ფლოსმანი აღნიშნავენ რომ პროგრამა შეიცვას კარგ ბალანსს თეორიასა და პრაქტიკულ საქმიანობას შორის და უშუალოდ მიღების მიღების პირობებიც გონივრულადაა განსაზღვრული. აღნიშნულია რომ სამაგისტრო თეზისის შესახებ დოკუმენტი საკმარისად დეტალურია და შეიცავს ყველა იმ დეტალს რაც აუცილებელია თეზისთვის. დრ. ჰეიკო ბოზემის შეფასებაში ნახსენებია, რომ სასურველია გაიწეროს დამოუკიდებელი სამუშაო საათების რაოდენობა, ხოლო დრ. ანდრეა ფლოსმანი აღნიშნავს, რომ ვინაიდან საფრანგეთში ენის სერტიფიკატს წარმოადგენს ე.წ. TOELC, რომლის შესახებაც უუნდა იყოს ნახსენები დოკუმენტში. ორივე უცხოელი ექსპერტი აღნიშნავს, რომ სტრუქტურა და კონტენტი სამაგისტრო პროგრამისა სრულ შესაბამისობაშია ზოგადად საერთაშორისო სამაგისტრო პროგრამების სტრუქტურასთან და რეკომენდაციას გასცემენ პროგრამების სწრაფი განხორციელებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- მიზნების და შედეგების შესაბამისობის რუკა;
- სწავლის შედეგების რუკა;
- სწავლის შედეგების შეფასების სამიზნე ნიშნულები და გეგმა
- დამსაქმებელთა გამოკითხვის ანალიზი
- სტუდენტთა და კურსდამთავრებულების კვლევის ანგარიში
- შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია
- პროგრამის შეფასების კრიტერიუმები, ფორმები და ინსტრუქციები
- კურიკულუმის რუკა;
- შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|--------------------------------|-------------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის “ატმოსფეროსა და ახლო კოსმოსის მეცნიერებების” ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ნათელია, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები ადეკვატურია და პასუხობს სტანდარტებს. კერძოდ, როგორც აღნიშნულია თვითშეფასების დოკუმენტში, პროგრამის ამოქმედებისთანავე ამოქმედდება სწავლის შედეგების მიღწევის პერიოდული შეფასების მექანიზმი, რომელიც მოიცავს ე.წ. პირდაპირ და არაპირდაპირ მეთოდს. შეფასების პირდაპირი მეთოდის გამოყენებისას შედეგები შეგროვდება სამიზნე ნიშნულების და ინდიკატორების გამოყენებით. არაპირდაპირი შეფასების მეთოდისას ჩატარდება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში უკვე კარგად აპრობირებული პერიოდული გამოკითხვები დამამთავრებელი სემესტრის სტუდენტებთან. ეს კომპონენტი შესაბამისობაშია დადგენილ სტანდარტთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- მიზნების და შედეგების შესაბამისობის რუკა;
- სწავლის შედეგების რუკა;
- სწავლის შედეგების შეფასების სამიზნე ნიშნულები და გეგმა
- დამსაქმებელთა გამოკითხვის ანალიზი
- სტუდენტთა და კურსდამთავრებულების კვლევის ანგარიში
- შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია
- პროგრამის შეფასების კრიტერიუმები, ფორმები და ინსტრუქციები
- კურიკულუმი
- მომიჯნავე პროგრამის სტუდენტური ნაშრომები
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|-------------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის “ატმოსფეროსა და ახლო კოსმოსის მეცნიერებების” ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის

თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გამოვეყოფთ მნიშვნელოვან პუნქტს: აღსანიშნავია, რომ სამაგისტრო პროგრამა სტრუქტურულად სწორადაა აწყობილი და მოიცავს ისეთ ფუნდამენტურ საკითხებს როგორცაა პლაზმის ფიზიკა, და ჰიდროდინამიკა და სპეციალურ საგნებს რომლებიც უშუალოდ პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარეობს. პროგრამაში შედის აგრეთვე რიცხვითი მოდელირების, მონაცემთა ანალიზის და სამეცნიერო ინგლისურის კურსებიც. თანმიმდევრულობაც სწორადაა შერჩეული რადგან ყოველი მომდევნო კურსის გავლისას გათვალისწინებულია წინარე კურსები. ყოველივე ეს უზრუნველყოფს საბოლოოდ მიზნების შედეგების მიღწევას. პროგრამის შემუშავებისას სრულადაა გათვალისწინებულია შეფასების კრიტერიუმები. პროგრამაზე მუშაობისას სამუშაო ჯგუფმა გადაუგზავნა პოტენციურ დამსაქმებლებს რის შედეგადაც ჩატარდა ფოკუს ჯგუფი. აღნიშნული პროგრამა გარე შეფასებისთვის გადაეგზავნა უცხოელ კოლეგებს: პროფესორს, დოქტორ ანდრეა ფლოსმანს და პროფესორს, დოქტორ ჰეიკო ბოხემს, რომელთაგან მიღებული შენიშვნების და რეკომენდაციების საფუძველზე დაიხვეწა პროგრამა. შედეგად შეიძლება ითქვას, რომ სტანდარტი აკმაყოფილებს მოთხოვნებს. ეს კომპონენტი შესაბამისობაშია დადგენილ სტანდარტთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები
- სსდრ. ანდრეა ფლოსმანი იპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების კრიტერიუმები
- საგანმანათლებლო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის სწავლის შედეგების რუკა;
- პროგრამაში შემავალი კურსების სილაბუსები
- სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმები
- უცხოელი პროფესორების მიერ გაკეთებული პროგრამის გარე შეფასება
- სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ფოკუს-ჯგუფის ანგარიში
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდი: <https://iliauni.edu.ge>

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|-------------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის “ატმოსფეროსა და ახლო კოსმოსის მეცნიერებების” ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ყურადღებას გავამახვილებთ რამდენიმე საკითხზე. კურსი შედგება ჯამში 72 კრედიტის მქონე 12 სავალდებულო საგნებისგან: ატმოსფეროს ფიზიკა, პლანეტის ფიზიკა, კლასიკური ჰიდროდინამიკა, სტატისტიკური მეთოდები ატმოსფეროს ფიზიკაში, იონოსფეროს ფიზიკა, მზე-დედამიწის კავშირების ფიზიკა, მეტეოროლოგია, კომპიუტერული მოდელირება, დისტანციური ზონდირების ინსტრუმენტები და მეთოდები, კლიმატოლოგია, სამაგისტრო სემინარი, ატმოსფეროს ქიმია და არაუმეტეს 18 კრედიტის მქონე ორი კურსისგან: სამეცნიერო ინგლისური და ჰელიოსფერო და პლანეტების ატმოსფეროები.

- აღნიშნული სასწავლო კურსების შედეგები შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებს. როგორც კურსებისთვის/საგნებისთვის გამოყოფილი კრედიტები, ისე გამოყოფილი საათები შესაბამისობაშია/საკმარისია სტუდენტის მიერ სწავლის

შედეგების მიღწევისთვის. იგივე შეიძლება ითქვას სილაბუსებში მითითებულ ლიტერატურაზე, რომლის მოძიება პრობლემას არ წარმოადგენს სტუდენტისთვის, როგორც ელექტრონულად, ისე ე.წ. ჰარდკოპის სახით და ამისთვის ბიბლიოთეკა (აგრეთვე ელექტრონული ბიბლიოთეკაც) კარგადაა ორგანიზებული და სტუდენტს მინიმალური ძალისხმევა ჭირდება წიგნის მოძიებისთვის. სილაბუსები მეტწილად კარგადაა აწყობილი და შეესაბამება პროგრამას. ამასთან დაკავშირებით გვაქვს ერთი რეკომენდაცია: სილაბუსების ნაწილს არა აქვს გაწერილი წინაპირობა. ესენია სილაბუსები შემდეგ საგნებში: ატმოსფერული მოდელების გამოყენება; დისტ.ზონდირების ინსტრუმენტები და მეთოდები; ატმოსფეროს ოპტიკა, ატმოსფეროს ფიზიკა, კლასიკური ჰიდროდინამიკა, კლიმატოლოგია, კომპიუტერული მოდელირება, კოსმოსური სხივების ფიზიკა, მონაცემთა ანალიზი პითონის გამოყენებით, იონოსფეროს ფიზიკა, სტატისტიკური მეთოდები ატმოსფეროს ფიზიკაში, ჰელიოსფერო და პლანეტების ატმოსფეროები. (დაწესებულებამ ნაწილობრივ გაიზიარა რეკომენდაცია და ზოგიერთ სასწავლო კურსში განსაზღვრა წინაპირობები. ხოლო ნაწილზე გამოხატა პოზიცია და ამას ექსპერტები იზიარებენ). ძალიან კარგადაა ორგანიზებული სტუდენტების წვდომა საერთაშორისო ბაზებზე, რისი განხორციელება მათ უნივერსიტეტის სივრცის გარედანაც შეუძლიათ. ეს კომპონენტი შესაბამისობაშია დადგენილ სტანდარტთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- პროგრამის სწავლის შედეგების რუკა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამაში შემავალი კურსების სილაბუსები
- ბიბლიოთეკის ვებგვერდი: <http://library.iliauni.edu.ge/chven-shesakheb/>
- საერთაშორისო აკადემიური ბაზები, ბიბლიოთეკები, ჟურნალები და სხვ.
- სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდი: <https://iliauni.edu.ge>
-

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---------------------------|-------------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| 1.5 სასწავლო კურსი/საგანი | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| | | |
|--|---|-------------------------------------|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | <input checked="" type="checkbox"/> |
| | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | <input type="checkbox"/> |
| | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | <input type="checkbox"/> |
| | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან | <input type="checkbox"/> |

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის “ატმოსფეროსა და ახლო კოსმოსის მეცნიერებების” ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ცხადია, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, რაც გაწერილია პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტში და თავად საგანმანათლებლო პროგრამაში, აკმაყოფილებს განსაზღვრულ სტანდარტს და ლოგიკურად დაკავშირებულია თავად პროგრამის შინაარსთან და სპეციფიკასთან. დაშვების წინაპირობებს რაც შეეხება, პროგრამის მიხედვით, აპლიკანტს უნდა ჰქონდეს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ფიზიკის, ასტრონომიის, მათემატიკის, დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების ან კომპიუტერული მეცნიერებების დარგში, რაც პირდაპირ კავშირშია პროგრამის სპეციფიკასთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. ხსენებული წინაპირობები სავსებით უზრუნველყოფს პროგრამაში ჩართვის შემთხვევაში მის დაძლევას, რადგან ის ამავე დროს კავშირშია თავად პროგრამის შინაარსთან. ერთერთ წინაპირობად

განიხილება ინგლისურის მინიმუმ B2 დონეზე ცოდნა, რაც უშუალო კორელაციაშია პროგრამის სწავლების ენასთან. მიღება ხდება ზეპირი გამოცდის მეშვეობით, რასაც არეგულირებს უშუალოდ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შეფასების სისტემა. ეს კომპონენტი შესაბამისობაშია დადგენილ სტანდარტთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- შიდასაუნივერსიტეტო ზეპირი გამოცდის პირობები და შეფასების სისტემა დანართი #1
- თვითშეფასების ანგარიში

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|--------------------------------------|-------------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის “ატმოსფეროსა და ახლო კოსმოსის მეცნიერებების” ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ნათელია, რომ პროგრამა, მასში აღწერილი დეტალები, უზრუნველყოფს ყველა იმ უნარ-ჩვევის გამომუშავებას, რომელიც აუცილებელია მომავალი მაგისტრისთვის. პროგრამიდან და თანდართული სილაბუსებიდან ცხადია, რომ პროგრამა უზრუნველყოფს პრაქტიკული სამუშაოების სწორად დაგეგმვას და ამ სამუშაოებიდან შესაბამისი უნარების გამომუშავებას. რამდენიმე საგანი, როგორებიცაა მაგ: ატმოსფეროს ფიზიკა, დისტანციური ზონდირების ინსტრუმენტები და მეთოდები, იონოსფეროს ფიზიკა და მზე-დედამიწა კავშირების ფიზიკა პირდაპირ დაკავშირებულია ისეთ პრაქტიკულ სამუშაოებთან, რომლებიც უნდა შესრულდეს ობსერვატორიაში, რასაც ხელს უწყობს ერთობლივი მემორანდუმი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ე. ხარაძის ეროვნულ ასტროფიზიკურ ობსერვატორიას და აგრეთვე სხვა დამსაქმებელთა (გეოფიზიკის ინსტიტუტი და გარემოს ეროვნული სააგენტო) შორის. განსაკუთრებით დეტალურად არის ასახული სტუდენტების ჩართულობა პრაქტიკულ სამუშაოებში ობსერვატორიის ბაზაზე, რადგან სილაბუსების მიხედვით სწორედ მისი პირდაპირი ჩართულობა იგეგმება. მომიჯნავე პროგრამების სტუდენტური ნაშრომებიდან ცხადია რომ პრაქტიკული სამეცნიერო/კვლევითი უნარების გამომუშავების დიდი პრაქტიკა აქვს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს. აგრეთვე უკვე არსებობს სტუდენტების პირველი ავტორობით გამოქვეყნებული სტატიები - რაც კიდევ უფრო სარწმუნოს ხდის აღნიშნული პროგრამის ფარგლებში უნარების გამომუშავების რეალურობას და დაწესებულების მიერ ტრადიციების გაგრძელებას. სტანდარტის 2.2 კომპონენტი შესაბამისობაშია დადგენილ სტანდარტთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში;
- მომიჯნავე პროგრამების სამაგისტრო ნაშრომები
- პროგრამაში შემავალი კურსების სილაბუსები
- მემორანდუმები

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|-------------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| 2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი /შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის “ატმოსფეროსა და ახლო კოსმოსის მეცნიერებების” ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ცხადია, რომ სწავლება-სწავლის მეთოდები ძალიან ორგანულადაა დაკავშირებული შესაბამისი კურსების შინაარსთან. ამავდროს ის ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ მოთხოვნებსაც და მათი საჭიროებების მიხედვით უშვებს ინდივიდუალური პროგრამის შედგენას. საერთაშორისო სტუდენტების შემთხვევაშიც გათვალისწინებულია ის სპეციფიკა, რაც დაკავშირებულია კულტურულ და სხვა საჭიროებებთან. გამომდინარე ბოლო ტენდენციებიდან გათვალისწინებულია დისტანციური სწავლების მეთოდიკაც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა

- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამაში შემავალი კურსების სილაბუსები
- სასწავლო კურსების შეფასების კითხვარი
- აკადემიური წერის ცენტრის დებულება

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|-------------------------------|-------------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| 2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით. შეფასება გამჭვირვალე, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისია.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის “ატმოსფეროსა და ახლო კოსმოსის მეცნიერებების” ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ცხადია, რომ შეფასების სისტემა წინასწარ ცნობილია სტუდენტისათვის და დეტალების გასარკვევად სტუდენტებს საშუალება აქვთ წინასწარ შეხვდნენ საგნის ლექტორს და შეათანხმონ კონკრეტული საკითხები. შეფასებები ხორციელდება აქტიურობის, პრაქტიკული მუშაობის, შუალედური წერითი შეფასებების და პრეზენტაციების საფუძველზე. აქტიურობა გულისხმობს სტუდენტის აქტივობას სწავლის პროცესში, პრაქტიკული სამუშაო თავის ქულას აძლევს სტუდენტს და

რაც მთავარია წერთი შეფასებები ორმაგად მნიშვნელოვანია, რადგან ერთი მხრივ ობიექტურობასა და გამჭვირვალობაზეა ორიენტირებული და მეორე მხრივ სტუდენტს მუდმივად მზადყოფნაში ამყოფებს. მთლიანობაში შეიძლება ითქვას, რომ შეფასება გამჭვირვალეა, ვალიდური, ობიექტური და სანდო და ითვალისწინებს კურსის/საგნის სპეციფიკას. უზრუნველყოფილია სტუდენტთა შეფასების შედეგების გასაჩივრება. აგრეთვე უნდა აღინიშნოს, რომ გათვალისწინებულია შედეგების ანალიზი, სადაც დგინდება „რამდენად ინფორმირებული იქნება სტუდენტი შეფასების დეტალების შესახებ. პროგრამაში ჩართული პერსონალის პირადი საქმეებიდან ცხადია, რომ მათი კვალიფიკაცია სავსებით შეესაბამება აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამაში მათ ჩართულობას. ცალკე განხილვის ღირსია სამაგისტრო ნაშრომი და მისი შეფასების წესი. პროგრამის მიხედვით, თეზისი ეგზავნება რეცენზენტს, რომელიც აფასებს ნაშრომს მაქსიმუმ 50 ქულით. ამავე დროს, ხელმძღვანელის შეფასება უფრო ნაკლებია (20 ქ.) და მხოლოდ საბოლოო დაცვისას კომისიის წევრების მიერ საშუალო არითმეტიკული შედეგით მაქსიმუმ 30 ქულით ფასდება ნაშრომი. ეს სტრუქტურა უზრუნველყოფს როგორც სამართლიანობის, ისე გამჭვირვალების მოთხოვნას. შესაბამისად მთლიანობაში, ეს კომპონენტი შესაბამისობაშია დადგენილ სტანდარტთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამაში შემავალი კურსების სილაბუსები
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კრიტერიუმი
- არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის სისტემა
- სტუდენტთა გამოკითხვის ინსტრუმენტი კურსის შეფასებისთვის

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|-----------------------------|-------------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| 2.4 სტუდენტების შეფასება | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| | | |
|--|---|-------------------------------------|
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | <input checked="" type="checkbox"/> |
| | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | <input type="checkbox"/> |
| | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | <input type="checkbox"/> |
| | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან | <input type="checkbox"/> |

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტს აქვს შესაძლებლობა სრულად მიიღოს ინფორმაცია სასწავლო პროცესის დაგეგმვის თაობაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების გზებზე, დასაქმებისა და კარიერულ განვითარების

შესაძლებლობებზე. ამ ინფორმაციისათვის საჭირო დოკუმენტაცია საჯაროა, ხელმისაწვდომია და განთავსებულია ფაკულტეტის ვებ-გვერდზე. სტუდენტს ასევე შეუძლია მიიღოს შესაბამისი საჭირო ინფორმაცია, კონსულტაცია და დახმარება როგორც უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციული პერსონალისგან, ასევე პროგრამის აკადემიური პერსონალისაგან.

“ატმოსფეროსა და ახლო კოსმოსის მეცნიერებები”-ს მომიჯნავე სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგად დგინდება, რომ სტუდენტები ინფორმირებულები არიან ადგილობრივ და საერთაშორისო ღონისძიებების, კონფერენციების შესახებ და შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ მათში, ასევე ისარგებლონ საერთაშორისო მობილობით, თუმცა სტუდენტები მობილობას ფაქტობრივად არ იყენებენ. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია სტუდენტებს ეგზავნებათ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებულია ლექტორის საკონტაქტო ინფორმაცია: საკონტაქტო ტელეფონი, ელექტრონული ფოსტის მისამართი. სტუდენტები ინდივიდუალურ კონსულტაციებს აკადემიური პერსონალისაგან იღებენ მათთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, თუმცა სტუდენტებისათვის უფრო მოსახერხებელი იქნება, თუ ფაკულტეტი ყოველი სემესტრის დასაწყისში შეადგენს პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობის განრიგს დეპარტამენტების მიხედვით და განათავსებს თავის ვებ-გვერდზე.

ვაკანსიების შესახებ ინფორმაციას სტუდენტები იღებენ როგორც უნივერსიტეტის ელექტრონული ფოსტის , ასევე პროგრამის ხელმძღვანელისა და სხვა აკადემიური პერსონალის მეშვეობით. აგრეთვე, უნივერსიტეტში იმართება დასაქმების ფორუმები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ვებ-გვერდი.
- სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტის დებულება.
- სტუდენტური სერვისების მიწოდების, შეფასების და ანგარიშგების წესი.
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

ფაკულტეტმა ყოველი სემესტრის დასაწყისში შეადგინოს პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობის განრიგი დეპარტამენტების მიხედვით და განათავსოს საკუთარ ვებ-გვერდზე.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|--|-------------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აღნიშნულ პროგრამაზე სტუდენტი ირჩევს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს და შესაბამის სამაგისტრო ნაშრომის თემატიკას. ამ პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური თუ მოწვეული პერსონალი უზრუნველყოფს სტუდენტების სამაგისტრო ნაშრომისა და სხვა კვლევების შესრულებისათვის საჭირო რესურსებზე ხელმისაწვდომობას. სამეცნიერო ხელმძღვანელის ფუნქცია და მოვალეობები გაწერილია „სამაგისტრო ნაშრომის კონცეფციაში“.

აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული თანახელმძღვანელის დანიშვნის, შეცვლის, უფლება-მოვალეობებისა და ხელმძღვანელობის /თანახელმძღვანელობის პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტები, ასევე სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელისა და მაგისტრანტთა თანაფარდობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომელიც უზრუნველყოფს ხელმძღვანელობის ეფექტურად წარმართვას; სამაგისტრო ხელმძღვანელის საქმიანობის ხარისხის შეფასების მექანიზმი (არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შემდეგ ექსპერტებმა ამოიღეს აღნიშნულთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაცია).

მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ მიუხედავად იმისა, რომ არცერთი მათგანი არ იყო დამამთავრებელი სემესტრის სტუდენტი, ზოგიერთ მათგანს უკვე არჩეული ყავდა სამეცნიერო ხელმძღვანელი და მუშაობდა სამაგისტრო ნაშრომზე,

პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 8 ადამიანი, ხოლო აკადემიურ პერსონალთან გასაუბრების შედეგად აღინიშნა, რომ აქვთ რესურსი მიიღონ 8 სტუდენტი

მაგისტრანტის/დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები

| | |
|---|---|
| სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა | 8 |
| მაგისტრანტების/დოქტორანტების რაოდენობა | 8 |
| თანაფარდობა | 1 |

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „სამაგისტრო ნაშრომის კონცეფცია“.
- პერსონალის CV-ები, გამოქვეყნებულ ნაშრომთა რაოდენობა, ციტირების ინდექსი, h-ინდექსი;
- პერსონალთან ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|-------------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| 3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| | | |
|--|---|-------------------------------------|
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | <input type="checkbox"/> |
| | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | <input checked="" type="checkbox"/> |
| | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | <input type="checkbox"/> |
| | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან | <input type="checkbox"/> |

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის “ატმოსფეროსა და ახლო კოსმოსის მეცნიერებების” ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ პროგრამის განმახორციელებელი პირები აქტიურად არიან ჩართულნი პროგრამის განხორციელებაში და რაც ყველაზე მთავარია პროგრამის გაშვების შემთხვევაში, აპირებენ აქტიურად ითანამშრომლონ სტუდენტებთან მათი კონსულტირების თვალსაზრისით. აკადემიური პერსონალის უკანასკნელ 5 წელიწადში გამოქვეყნებული შრომების რაოდენობა, მეცნიერთა საშუალო იმპაქტ ფაქტორი (17), აშშ-ს და ევროპის საერთაშორისო კვლევებში ჩართულობის მრავალწლიანი გამოცდილება მეტყველებს იმაზე, რომ აკადემიურ/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია მაღალი დონისაა და თანხვედნაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან. ამავე დროს აკადემიური პერსონალის სემესტრული საათების განაწილება ითვალისწინებს მათი ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვალდებულებებს. აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და მათი სემესტრული დატვირთვა უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას, რაც ერთერთი

აუცილებელი ფაქტორია მისი წარმატებით განხორციელებისთვის. ამავე დროს აღსანიშნავია, რომ პროგრამის წარმატებით განხორციელებისთვის დატვირთვის სქემა აკადემიური/სამეცნიერო პერსონალისთვის და მოწვეული პროფესორებისთვის დაფუძნებულია დატვირთვის ცვლაზე რათა შენარჩუნდეს კურსის მდგრადობა სტანდარტის 4.1 კომპონენტი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

| პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი) | პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა | მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი ⁶ | მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი ⁷ | მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი |
|---|---|---|---|--|
| სულ აკადემიური პერსონალი | 11 | 11 | 11 | 11 |
| - პროფესორი | 2 | 2 | 2 | 2 |
| - ასოცირებული პროფესორი | 9 | 9 | 9 | 9 |
| - ასისტენტ-პროფესორი | | | | |
| - ასისტენტი | | | | |
| მოწვეული პერსონალი | 2 | 2 | 2 | 2 |
| სამეცნიერო პერსონალი | | | | - |

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები
- აკადემიური პერსონალის პროგრამაში დატვირთვის სქემა
- პროგრამის ხელმძღვანელის საქმიანობის წესი
- თვითშეფასების ანგარიში

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

⁶ ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

⁷ ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|------------------------|-------------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| 4.1 ადამიანური რესურსი | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის “ატმოსფეროსა და ახლო კოსმოსის მეცნიერებების” ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ნათელია, რომ სამეცნიერო/აკადემიური და მოწვეული პერსონალიდან არიან ისეთები, ვისაც აღნიშნული მიმართულებით კვლევითი გამოცდილება გააჩნია, რაც პროგრამის ფარგლებში სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობის წინაპირობაა. პირადი საქმეებიდან ცხადია რომ ხსენებული პერსონალი ფლობს ყველა იმ საჭირო ცოდნასა და უნარებს, რაც აუცილებელია სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელისთვის. სამაგისტრო ნაშრომის კონცეფციაში დეტალურადაა აღწერილი თუ ვინ შეიძლება იყოს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი: სამეცნიერო/აკადემიური პერსონალი, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული ლექტორი ან შესაბამისი მიმართულების დარგის დოქტორანტი რომელსაც გამოქვეყნებული აქვს შესაბამისი პუბლიკაცია ან მკვლევარი, რომელსაც ბოლო 2 წლის მანძილზე აქვს პუბლიკაციები. ეს სქემა ავტომატურად უზრუნველყოფს ხელმძღვანელის და თანახელმძღვანელის მოთხოვნების გამჭვირვალებას და ამავე დროს ობიექტურობას, ვინაიდან აქცენტი გაკეთებულია გამოქვეყნებულ სამეცნიერო ნაშრომებზე, რაც ექვს არ იწვევს. სტანდარტის 4.2 კომპონენტი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან .

| სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა | ნაშრომების ხელმძღვანელები | მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები | მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი |
|--|------------------------------|--|---|
| სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა | 8 | 8 | 6 |
| - პროფესორი | | | |
| - ასოცირებული პროფესორი | 6 | 6 | 6 |
| - ასისტენტ-პროფესორი | | | |
| მოწვეული პერსონალი | 2 | 2 | 2 |
| სამეცნიერო პერსონალი | | | – |

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- სამაგისტრო ნაშრომის კონცეფცია
- პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები და კვლევები

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|----------------------------|-------------------------------------|---|---|---|
| 4.2 მაგისტრანტისა და | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის “ატმოსფეროსა და ახლო კოსმოსის მეცნიერებების” ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ნათელია, რომ საგანმანათლებლო პროექტის აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებას ხელს უწყობს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. კერძოდ, უნივერსიტეტში არსებობს ე.წ. შეფასების სისტემა, რომელიც ითვალისწინებს სწავლებასთან და კვლევასთან დაკავშირებული საქმიანობის შეფასებას. ამავე დროს ხდება სწავლების/კვლევის მხარდაჭერა შიდა საუნივერსიტეტო სისტემაში. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტი მხარდაჭერას ახორციელებს საგრანტო პროექტების მომზადების თვალსაზრისით. სამეცნიერო და აკადემიური პერსონალისთვის საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა წახალისებულია შიდა საუნივერსიტეტო გრანტებით. მაგალითად 2018 წელს პროფ. თეიმურაზ ზაქარაშვილის მიერ ორგანიზებით და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის უშუალო დახმარებით ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია: “Our mysterious Sun: magnetic coupling between solar interior and atmosphere” 25-29 სექტემბერი. უნივერსიტეტი წახალისებს საერთაშორისო პროექტებში და გრანტებში აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის ჩართულობას. სტანდარტის 4.3 კომპონენტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები
- პროგრამაში ჩართული ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის სამუშაო აღწერილობები

- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი
- გაცვლითი პროგრამები
- კონფერენციებში მონაწილეობის დაფინანსების წესი
- კვლევითი ინსტიტუტების დებულებები
- განვითარების სამსახურის, საგარეო ურთიერთობების სამსახურისა და კვებების კოორდინაციის სამსახურის დებულებები

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|-------------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| 4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის “ატმოსფეროსა და ახლო კოსმოსის მეცნიერებების” ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ნათელია, რომ სილაბუსებში

მოცემული ლიტერატურა ხელმისაწვდომის ბიბლიოთეკაში როგორც ელექტრონული, ისე წიგნის სახით. სერვისის სტუდენტზე მორგებულია და მას შეუძლია ან ელექტრონულად წიგნებით სარგებლობა, ან ბიბლიოთეკიდან გამოტანა. ამას გარდა სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა წვდომა ქონდეთ პერიოდიკაზე და სხვადასხვა ბაზებზე. მატერიალურ-ტექნიკური და ლაბორატორიული სივრცეები უზრუნველყოფილია სტანდარტების სრული დაცვით. გარდა ილიას უნივერსიტეტში მატერიალურ-ტექნიკური ბაზით სარგებლობისა სტუდენტებს ექნებათ საშუალება ისარგებლონ პარტნიორი ორგანიზაციის - ევგენი ხარაძის საქართველოს ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის რესურსებით. უნივერსიტეტში არის როგორც სალექციო, ისე კომპიუტერული აუდიტორიები. სტუდენტებს შეუძლიათ ისარგებლონ აგრეთვე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბალანსზე არსებული კვლევითი ცენტრებით. ყოველივე ამ რესურსების გამოყენების შესახებ სტუდენტები წინასწარ ინფორმირებულები არიან. პროგრამის წარმატებით განხორციელებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ქიმიის ლაბორატორია, რომლის მონახულების საშუალებაც გვექონდა ვიზიტისას, ლაბორატორია მწყობრშია და შეიცავს ყველა იმ კომპონენტს (დაწყებული რეაქტივებით, დამთავრებული დანადგარებით) რაც აუცილებელია პროგრამის სრულყოფილად და წარმატებით განხორციელებისთვის. კიდევ ერთი დანადგარი, ე.წ. ლიდარი, ასევე იმყოფება ილიას უნივერსიტეტის ტერიტორიაზე და სტუდენტებს მისი გამოყენების საშუალება ექნებათ პრაქტიკული სამუშაოების ფარგლებში. ეს კომპონენტი შესაბამისობაშია დადგენილ სტანდარტთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემა
- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა და სამეცნიერო ბაზები: <http://library.iliauni.edu.ge>
- ელექტრონული სწავლების პორტალი: <http://elearning.iliauni.edu.ge/>
- მემორანდუმები პარტნიორ ორგანიზაციებთან
- ინფრასტრუქტურის, ტექნიკური აღჭურვილობის და წიგნადი ფონდის დამადასტურებელი დოკუმენტები

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|-------------------------|-------------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| 4.4 მატერიალური რესურსი | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის “ატმოსფეროსა და ახლო კოსმოსის მეცნიერებების” ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ნათელია, რომ პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ფინანსური რესურსები გათვალისწინებულია ერთიან საუნივერსიტეტო ბიუჯეტში და ის ასახულია ისე, რომ ეკონომიკურად სავსებით რეალისტური და მიღწევადია. პროგრამის შესრულებისთვის საჭირო მასალის/რესურსის შეძენა გათვალისწინებულია საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ბიუჯეტში. ამავე დროს გათვალისწინებულია უცხო ქვეყნის მოქალაქეების ჩარიცხვა პროგრამაზე რაც ერთგვარ მდგრადობის გარანტს წარმოადგენს. ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე ეს კომპონენტი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიუჯეტი
- საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ბიუჯეტი

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|--|-------------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| 4.5 პროგრამის/ ფაკულტეტის/ სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| | | |
|--------------------------------------|---|-------------------------------------|
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | <input checked="" type="checkbox"/> |
| | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | <input type="checkbox"/> |
| | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | <input type="checkbox"/> |
| | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან | <input type="checkbox"/> |

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად თანამშრომლობს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში. შესაბამისი პროცედურები, შეფასების ინსტრუმენტები და მექანიზმები აღწერილია უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფციასა და პროგრამის განხორციელების შეფასების წესში.

დაწესებულებაში შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები ემსახურება უნივერსიტეტის საქმიანობისა და რესურსების უწყვეტ შეფასებასა და განვითარებას. აღნიშნული პროცესების ფარგლებში გამოიყენება სისტემური და საჭიროებაზე დაფუძნებული კვლევები/შეფასებები, რომელთა შედეგებზე დაყრდნობით მიიღება გადაწყვეტილებები დაწესებულების შემდგომი განვითარებისა და გაუმჯობესებისთვის. შიდა ხარისხის სისტემური კვლევების/შეფასებების მეშვეობით ხდება პროგრამების (სწავლა-სწავლების), კვლევის, სერვისების, რესურსების შეფასება განსაზღვრული პერიოდულობით. საჭიროებაზე დაფუძნებული კვლევების/შეფასებების მეშვეობით ხდება კონკრეტული პრობლემის მიზნობრივი კვლევა, რაც იძლევა პრობლემის სიღრმისეული შესწავლისა და მასზე ორიენტირებული ინტერვენციის განხორციელების შესაძლებლობას.

უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების უწყვეტობა შესაბამისობაშია “PDCA” პრინციპთან. შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში ჩართული სტრუქტურული ერთეულების მიერ ხორციელდება უნივერსიტეტის საქმიანობის კვლევა/შეფასება. კვლევის შედეგები მიეწოდებათ შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს, რომლებიც ადგენენ საქმიანობის სუსტ და ძლიერ მხარეებს; ასევე, განსაზღვრავენ გაუმჯობესების შესაძლებლობებსა და სტრატეგიას, რაც აისახება შესაბამის ანგარიშებში და წარედგინება გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებს. მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე ხორციელდება შესაბამისი ცვლილებები და ინტერვენციები, რომლებიც, თავის მხრივ, ფასდება ზემოთ აღწერილი ციკლური პროცესის შემდგომ ეტაპზე.

სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი პროგრამის აკრედიტაციისთვის მომზადებისა და თვითშეფასების

პროცესის ეფექტურად განხორციელებისთვის თანამშრომლობდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან. ამ მიზნით შეიქმნა პროგრამის პერსონალისგან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებისგან შემდგარი სამუშაო ჯგუფი, რომლის პირველი სხდომა გაიმართა 2021 წლის 9 დეკემბერს. სამუშაო ჯგუფის შეხვედრები პერიოდულად იმართებოდა რამდენიმე თვის განმავლობაში, სადაც განიხილებოდა სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების განხორციელების პროცესის დეტალები და იგეგმებოდა შემდგომი სამომავლო ქმედებები. წარმოდგენილია სამუშაო ჯგუფის შეხვედრების ექვსი ოქმი. სამუშაო ჯგუფის პირველ შეხვედრაზე პროგრამის ხელმძღვანელმა ჯგუფის წევრებს გააცნო სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციისათვის მომზადების პროცედურები. მან ჯგუფის წევრებს წარუდგინა ის დოკუმენტები და სტანდარტები, რის საფუძველზეც უნდა მომხდარიყო პროგრამის შემდგომი განვითარება. ჯგუფის წევრებმა განიხილეს აღნიშნული დოკუმენტები, ასევე პროგრამის კურიკულუმი. იმსჯელეს მის შესამაბისობაზე მოქმედ სტანდარტებთან. დაიგეგმა სამომავლო ქმედებები. განისაზღვრა შემდეგი შეხვედრისათვის განსახორციელებელი ამოცანები.

სამუშაო ჯგუფმა თვითშეფასების მომზადების პროცესში განიხილა და გაანალიზა მომიჯნავე პროგრამების სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები, ასევე პოტენციურ დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები. სამუშაო ჯგუფმა განსაზღვრა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების სამიზნე ნიშნულები და დაიგეგმა პროგრამის შეფასების სამწლიანი ციკლი. სამუშაო ჯგუფმა განსაზღვრა აკრედიტაციის თითოეული სტანდარტის მიხედვით ძლიერი და სუსტი მხარეები.

თვითშეფასების ანგარიშის ვერსია სამუშაო ჯგუფისა და პროგრამის განხორციელებით დაინტერესებული მხარეების მოსაზრებების გათვალისწინებით გადაეგზავნა ფაკულტეტისა და დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. მათი რეკომენდაციების გათვალისწინების შედეგად მომზადდა თვითშეფასების ანგარიშის საბოლოო ვერსია.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ელექტრონული/დისტანციურად განხორციელებული სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და შეფასების მიზნით დაწესებულებას შემუშავებული აქვს დისტანციური სწავლების შესახებ სტუდენტთა გამოკითხვის კითხვარი, რაც სხვა კომპლექსურ ღონისძიებებთან ერთად, ახდენს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ადაპტირებას ელექტრონული/დისტანციურად განხორციელებული სასწავლო პროცესისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კვლევის ინსტრუმენტები;
- პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესი;
- პროგრამის შეფასების კრიტერიუმები, ფორმები და ინსტრუმენტები;
- პროგრამის განხორციელების შეფასების წესი;
- არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემა „არგუსი“;
- სამაგისტრო პროგრამის სტანდარტი;
- სამაგისტრო პროგრამის სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმები;
- სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, პერსონალის და დამსაქმებლების გამოკითხვისა და კვლევის შედეგები;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კვლევის ანგარიშები;
- აკადემიურ/სამეცნიერო და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები;
- ადმინისტრაციის, დამხმარე-ტექნიკურ პერსონალთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგები;
- ფაკულტეტის სტრატეგიული გეგმა;
- სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ექსპერტების მიერ დამატებით გამოთხოვილი დოკუმენტაცია-დისტანციური სწავლების შესახებ სტუდენტთა გამოკითხვის კითხვარი.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|----------------------------|-------------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| 5.1 შიდა ხარისხის შეფასება | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამა ახალი პროგრამაა. პროგრამის გარე შეფასების მიზნით წარმოდგენილია უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში დასაქმებული საერთაშორისო კოლეგების მიერ განხორციელებული განმავითარებელი კოლეგიალური შეფასებები, კერძოდ: ა) პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება უცხოელი კოლეგის - კლერმონ ოვერნის უნივერსიტეტის (ბელგია) პროფესორის მიერ; ბ) პროგრამის შეფასება იოჰანეს გუტენბერგის მაინცის უნივერსიტეტის (გერმანია) პროფესორის მიერ.

მიღებული გარე შეფასებებიდან პროგრამაზე მომუშავე ჯგუფმა გაითვალისწინა რეკომენდაციები მირების პროცედურებთან დაკავშირებით, ასევე იმ კვალიფიკაციებთან დაკავშირებით, რომლის მქონე სტუდენტების შეძლებენ სწავლა გააგრძელონ მოცემულ საგანმანათლებლო პროგრამაზე. ამასთან, პროგრამის კატალოგში აისახა დამოუკიდებელი მუშაობისთვის განკუთვნილი საათები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში დასაქმებული საერთაშორისო კოლეგების მიერ განხორციელებული განმავითარებელი კოლეგიალური შეფასებები;
- სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|----------------------------|-------------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| 5.2 გარე ხარისხის შეფასება | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური,

სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება დაინტერესებული მხარეების ჩართულობით დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ. სამსახურის ფუნქციებში შედის: ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმების შემუშავება უნივერსიტეტში სწავლებისა და კვლევის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით; საუნივერსიტეტო კურიკულუმის შექმნის, შეფასებისა და განვითარების პროცესში მონაწილეობა; სასწავლო და კვლევით პროცესებთან დაკავშირებული საუნივერსიტეტო სტანდარტებისა და მოთხოვნების შემუშავებაში მონაწილეობა; უნივერსიტეტში კვლევის, სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვაში მონაწილეობა; საგანმანათლებლო პროგრამების მარეგულირებელი დოკუმენტების შემუშავების უზრუნველყოფა; სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის, აგრეთვე უნივერსიტეტის პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემური შეფასების წესის შემუშავება; სასწავლო პროცესთან, სამეცნიერო კვლევებთან, ავტორიზაციასა და აკრედიტაციასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტების პროექტების შემუშავების პროცესში მონაწილეობა; ფაკულტეტების/სკოლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებისათვის ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ნორმატიული მოთხოვნების, ასევე მასში განხორციელებული ცვლილებების თაობაზე ინფორმაციის მიწოდება; პროგრამულ აკრედიტაციასთან დაკავშირებული პროცესების ორგანიზება; ავტორიზაციის პროცესებში ჩართულობა საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევების მიმართულებით; სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესის შემუშავება; უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო - კვლევითი ერთეულის სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის შიდა შეფასების წესის შემუშავება საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით; საზღვარგარეთის ქვეყნებისა და მათი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაბამის სამსახურებთან თანამშრომლობა ხარისხის კონტროლის გამჭვირვალე კრიტერიუმებისა და მათი უზრუნველყოფის მეთოდოლოგიის ჩამოსაყალიბებლად; უმაღლესი და პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების - დიპლომებისა და დიპლომების დანართების მომზადებაში მონაწილეობა სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში; უმაღლესი და პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების ენობრივ სისწორეზე შეთანხმება სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების

ეროვნულ ცენტრთან; მობილობის, კრედიტების აღიარებისა და პროგრამული თავსებადობის დადგენის პროცესებში მონაწილეობა სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში; სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ერთიანი სტუდენტური რეესტრის მონაცემთა ბაზის მონიტორინგი; უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და მკვლევრების სამეცნიერო ნაშრომების/მონოგრაფიების საერთაშორისო რეცენზირების უზრუნველყოფა უნივერსიტეტში დადგენილი პროცედურების შესაბამისად; ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების ზედამხედველობა/კოორდინირება, კონსულტაცია და სხვა დამხმარე სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობა; სამსახურის ფუნქციებთან და ამოცანებთან დაკავშირებული კორესპონდენციის, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მომზადება, შემოწმება, ინიცირება.

ზემოთ აღნიშნული ფუნქციების განხორციელებისას ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პერიოდულად ახორციელებს პროგრამების შეფასებასა და მონიტორინგს, კერძოდ: აწარმოებს დაინტერესებული მხარეების გამოკითხვებს და ამზადებს კვლევების ანგარიშებს, გასცემს რეკომენდაციებს, ახორციელებს პროგრამის განვითარების მიზნით გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგს, ცალკეულ შემთხვევაში წინასწარ განსაზღვრული ლექციაზე დასწრების/ლექციის დაკვირვების პროტოკოლის მეშვეობით დაგეგმილი პერიოდულობით ახორციელებს პერსონალის კოლეგიალურ, განმავითარებელ შეფასებას, ყოველი სემესტრის ბოლოს სასწავლო კურსების შეფასების მიზნით სტუდენტთა გამოკითხვის ორგანიზებას ელექტრონული სისტემა „არგუსის“ მეშვეობით, სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები აფასებენ სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის, ასევე სამეცნიერო ხელმძღვანელობის განხორციელებას სპეციალური კითხვარის საშუალებით პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით მიღებულია გარე შეფასებები უცხოელი კოლეგებისგან, ამასთან, უცხოელ პარტნიორებთან გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა უზრუნველყოფს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გამოყენებას და უცხოურ ანალოგებთან პროგრამის შედარებას; მონიტორინგისა და პროგრამის შედეგების კომპლექსური მაჩვენებლების გამოყენებით ხორციელდება პროგრამის შეფასება სამწლიანი ციკლის პერიოდულობით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია;

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კვლევის ინსტრუმენტები;
- პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესი;
- პროგრამის შეფასების კრიტერიუმები, ფორმები და ინსტრუმენტები;
- პროგრამის განხორციელების შეფასების წესი;
- არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემა „არგუსი“;
- სამაგისტრო პროგრამის სტანდარტი;
- სამაგისტრო პროგრამის სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმები;
- სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, პერსონალის და დამსაქმებლების გამოკითხვისა და კვლევის შედეგები;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კვლევის ანგარიშები;
- აკადემიურ/სამეცნიერო და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები;
- ადმინისტრაციის, დამხმარე-ტექნიკურ პერსონალთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგები;
- ფაკულტეტის სტრატეგიული გეგმა;
- სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ექსპერტების მიერ დამატებით გამოთხოვილი დოკუმენტაცია - ლექციის დაკვირვების პროტოკოლი;
- ექსპერტების მიერ დამატებით გამოთხოვილი დოკუმენტაცია-კითხვარი სამაგისტრო ნაშრომის კომპონენტზე;
- ექსპერტების მიერ დამატებით გამოთხოვილი დოკუმენტაცია-დისტანციური სწავლების შესახებ სტუდენტთა გამოკითხვის კითხვარი.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|-------------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| 5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| | | |
|---|---|-------------------------------------|
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | <input checked="" type="checkbox"/> |
| | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | <input type="checkbox"/> |
| | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | <input type="checkbox"/> |
| | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან | <input type="checkbox"/> |

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში):

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

| შეფასება | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|--|-------------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| სტანდარტები | | | | |
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

ხელმოწერები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ზაზა ოსმანოვი, ხელმოწერა 

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

ზურაბ ბერია 

ია ნაცვლიშვილი 

ლაშა ლალიაშვილი 